საქმე № №3/1285-09

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

9 ივლისი 2010 წ. **თბილისი**

შესავალი ნაწილი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია

სასამართლოს დასახელება

მოსამართლე ნინო შარაძე

სხდომის მდივანი თამარ ბარნოვი

მოსარჩელე	ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“
წარმომადგენლები	ნინო გუჯარაიძე, ირმა მახათაძე
მოპასუხე	საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო
წარმომადგენელი	სოფიო ახალაძე
მესამე პირი	საქართველოს მთავრობა
წარმომადგენელი	ირაკლი კოპალიანი
მესამე პირი	ქ. თბილისის მთავრობა
წარმომადგენელი	სალომე ბარბაქაძე
მესამე პირი	შპს „ჯორჯიან გლობალ იუთილითი ლიმითედი“ უფლებამონაცვლე შპს „მულტიპლექს ენერჯი ლიმითედი“-ს
წარმომადგენელი	ბესიკ კობერიძე
დავის საგანი	ინფორმაციის განსაიდუმლოება და საჯარო ინფორმაციის გაცემის დავალება;

აღწერილობითი ნაწილი

1. სასარჩელო მოთხოვნა

1.1. საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედი”-ს შორის 2008 წლის 14 მაისს გაფორმებული წილის ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების დანართების, ასევე 2009 წლის 22 დეკემბერს საქართველოს მთავრობის №1025 განკარგულების საფუძველზე შპს

„რუსთავწყალკანალის“, შპს „მცხეთაწყალკანალის“, შპს „საქწყალკანალის”, შპს „თბილისის წყალი”-ს 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულების დამატებითი განმარტებისა და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ შეთანხმება №1-ის განსაიდუმლოება და საქართველოს ეკონომიური განვითარების სამინისტროზე მისი, როგორც საჯარო ინფორმაციის გაცემის დავალება. (ს.ფ. 274)

2. მოპასუხის პოზიცია

2.1. მოპასუხე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო სარჩელს არ ცნობს და წარმომადგენელი განმარტავს, რომ 2008 წლის 14 მაისს შპს „რუსთავწყალკანალის“, შპს „მცხეთაწყალკანალის“, შპს „საქწყალკანალის“ და შპს „თბილისის წყალის“ 100% წილების ნასყიდობის თაობაზე საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით საპრივატიზაციო თანხის სრულად გადახდის შემდეგ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 19 აგვისტოს №1-1/1725 ბრძანების საფუძველზე 2008 წლის 20 აგვისტოს შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედზე“ გაიცა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა №692-პ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების პირობით. ზემოაღნიშნული ხელშეკრულების 14.1 მუხლის თანახმად, წილის ნასყიდობის ან ნებისმიერ დაკავშIრებულ საკითხთებზე მხარეებს წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე განცხადების გაკეთების უფლება არ გააჩნდათ. ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“-ს მიერ ნასყიდობის ხელშეკრულების ასლის მოთხოვნის საფუძველზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ წერილით მიმართა ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს და სთხოვა მათი მოსაზრება ხელშეკრულების ასლის გადაცემასთან დაკავშირებით, რასაც მხარეების მხრიდან რეაგირება არ მოყოლია, რაც ჩაითვალა უარად, რის გამოც სამინისტრომ ვერ მოახდინა ასოციაციის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

2.2. მესამე პირები დაეთანხმნენ მოპასუხის პოზიციას და განმარტეს, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას და მისი გამჟღავნების ხელშეკრულების მონაწილე მხარეების თანხმობის დაუშვებელია.

3. ფაქტობრივი გარემოებები

3.1. უდავო ფაქტობრივი გარემოებები

3.1.1. 2008 წლის 14 მაისს საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედი”-ს შორის დაიდო შპს „რუსთავწყალკანალის” 100% წილის, შპს „მცხეთაწყალკანალის” 100% წილის, შპს „საქწყალკანალის” 100% წილისა და შპს „თბილისის წყალის” 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულება.

3.1.1. ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა”-მ 2008 წლის 28 მაისს, წერილით მიმართა

საქართველოს მთავრობის კანცელარიას და ითხოვა საქართველოს მთავრობის №325 განკარგულებით მოწონებული, საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედ"-ს შორის გაფორმებული, შპს „რუსთავწყალკანალის", შპს „მცხეთაწყალკანალის", შპს „საქწყალკანალის" და შპს „თბილისის წყალის" 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულების პროექტის მიწოდება.

3.1.2. საქართველოს მთავრობის კანცელარიის, 2008 წლის 28 მაისის №24/111 წერილით ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა"-ს ეცნობა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინსტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის შესაბამისად, მათი წერილი შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნა საქართველოს ეკონომიური განვითარების სამინისტროს.

3.1.3. საქართველოს ეკონომიური განვითარების სამინისტროს 2008 წლის 16 ივნისის №21/875/1-8 წერილით, ქ. თბილისის მთავრობისგან და შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედ"-ისგან, ნასყიდობის ხელშეკრულების 14.1 მუხლის შესაბამისად, გამოთხოვილ იქნა მათი მოსაზრება აღნიშნული ხელშეკრულების ქსეროასლის გაცემაზე.

3.1.4. ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა"-მ 2008 წლის 22 ივლისს №04/03-116 წერილით მიმართა საქართველოს ეკონომიური განვითარების სამინისტროს და ითხოვა შპს „რუსთავწყალკანალის", შპს „მცხეთაწყალკანალის", შპს „საქწყალკანალისა" და შპს „თბილისის წყალის" 100% წილის ნასყიდობის თაობზე, საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედ"-ს შორის 2008 წლის 14 მაისს გაფორმებული ხელშეკრულების ასლი. ამასთან იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტი შეიცავდა საიდუმლოებას, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 33-ე მუხლის შესაბამისად ითხოვა დოკუმენტის იმ ნაწილის მიწოდება, რომელიც არ შეიცავდა საიდუმლო ინფორმაციას, ასევე ითხოვა მითითება ინფორმაციის საიდუმლოდ მიჩნევის საფუძველზე, ნორმატიულ აქტებზე, რომელთა საფუძველზეც მოხდა ინფორმაციის გასაიდუმლოება და გასაიდუმლოების ვადა.

3.1.6. 2008 წლის 25 ნოემბერს, ანალოგიური შინაარსის №04/03-121 წერილით, ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა"-მ მიმართა საქართველოს მთავრობის კანცელარიას. საქართველოს მთავრობის კანცელარიის 2008 წლის 01 დეკემბრის პასუხში (№24/111) აღნიშნულია რომ, 2008 წლის 25 ნოემბრის წერილში მითითებული ინფორმაცია, საქართველოს მთავრობის კანცელარიაში არ მოიპოვებოდა და აღნიშნულის გათვალისწინებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის შესაბამისად, მათი წერილი შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნა საქართველოს ეკონომიური განვითარების სამინისტროს.

3.1.7. 2009 წლის 16 მარტს ასოციაცია „მწვანე ალტერნატივამ" ადმინისტრაციული საჩივრით

მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრს და მოითხოვა, შპს „რუსთავწყალკანალის", შპს „მცხეთაწყალკანალის", შპს „საქწყალკანალის" და შპს „თბილისის წყალის" 100% წილების, შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედი"-სათვის გადაცემის თაობაზე დადებული ხელშეკრულების კომერციულ საიდუმლოებად მიჩვევის კანონიერების შესწავლა, ხელშეკრულების დოკუმენტის საჯაროდ გახდომა და საჯარო დოკუმენტის ასლის მიწოდება.

3.1.8. საქართველოს მთავრობის კანცელარიის 2009 წლის 02 აპრილის №24/72 წერილით მოსარჩელეს ეცნობა, რომ მისი ადმინისტრაციული საჩივარი განუხილველი დარჩა.

3.2. დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოებები

3.2.1. სასამართლოს დადგენილად მიაჩნია ფაქტობრივი გარემოება მასზედ, რომ 2008 წლის 14 მაისს საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედი"-ს შორის დადებული, შპს „რუსთავწყალკანალის" 100% წილის, შპს „მცხეთაწყალკანალის" 100% წილის, შპს „საქწყალკანალის" 100% წილისა და შპს „თბილისის წყალის" 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია ამ ხელშეკრულების დანართები, ასევე შპს „რუსთავწყალი"-ს, შპს „მცხეთაწყალკანალი"-ს, შპს „საქწყალკანალი"-ს, შპს „თბილისის წყალი"-ს 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულების დამატებითი განმარტებისა და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ 2009 წლის 22 დეკემბერის შეთანხმება №1.

3.2.2. სასამართლოს ასევე დადგენილად მიაჩნია ამ ადმინისტრაციული ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა ვალდებულების არსებობა მასზედ, რომ არც ერთი მხარე არ გააკეთებს განცხადებას, ანუ არ გასცემს ინფორმაციას ამ ხელშეკრულების ნებისმიერი დაკავშირებული საკითხის შესახებ, სხვა მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, ხოლო მითითებული ადმინისტრაციული გარიგების ერთ-ერთი მხარე, კერძოდ შპს „ჯორჯიან გლობალ იუთილითი ლიმითედი" არ არის თანახმა ამ ხელშეკრულების, როგორც კომერციული საიდუმლოების გაცემაზე.

სასამართლო აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების დადგენისას ეყრდნობა, 2008 წლის 14 მაისს საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედი"-ს შორის დადებული, შპს „რუსთავწყალკანალის" 100% წილის, შპს „მცხეთაწყალკანალის" 100% წილის, შპს „საქწყალკანალის"100% წილისა და შპს „თბილისის წყალის" 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულების 14.1 მუხლსა და შპს „ჯორჯიან გლობალ იუთილითი ლიმითედის" წარმომადგენლის ახსნა-განმარტებას.

სამოტივაციო ნაწილი

4. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

4.1. სასამართლომ მოისმინა რა მხარეთა ახსნა–განმარტებები, გაანალიზა საქმეში არსებული მტკიცებულებები და ურთიერთშეაჯერა დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები მიაჩნია, რომ სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

4.2. სასამართლო თვლის, რომ არ არსებობს სამართლებრივი საფუძველი საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედი''-ს შორის 2008 წლის 14 მაისს გაფორმებული წილის ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების დანართების, ასევე 2009 წლის 22 დეკემბერს საქართველოს მთავრობის №1025 განკარგულების საფუძველზე შპს „რუსთავწყალკანალისათვის'' შპს „მცხეთაწყალკანალი''-ს, შპს „საქწყალკანალი''-ს, შპს „თბილისის წყალი''-ს 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულების დამატებითი განმარტებისა და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ შეთანხმება №1-ის განსაიდუმლოებისათვის და ამდენად დაუსაბუთებელია მოთხოვნაც საქართველოს ეკონომიური განვითარების სამინისტროზე მისი, როგორც საჯარო ინფორმაციის გაცემის დავალების შესახებ.

5. კანონები, რომლებითაც სასამართლომ იხელმძღვანელა

.საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ'' და „ნ'' პუნქტები, 27^2–ე და 28 მუხლები, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 33^1 მუხლი.

6. სამართლებრივი შეფასება

6.1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ'' პუნქტის შესაბამისად, საჯარო ინფორმაცია განიმარტება, როგორც ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიო ჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია. ამავე ნორმის „ნ'' პუნქტის თანახმად, საიდუმლო ინფორმაციას წარმოადგენს საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, რომელიც შეიცავს სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27^2-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, კომერციული საიდუმლოება-ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურეობის გასაწევად, ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა

ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას.

6.2.1. სასამართლო დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით თვლის, რომ 2008 წლის 14 მაისს საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედი"-ს შორის დადებული, შპს „რუსთავწყალკანალის" 100% წილის, შპს „მცხეთაწყალკანალის" 100% წილის, შპს „საქწყალკანალის" 100% წილისა და შპს „თბილისის წყალის" 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულების დანართები, ასევე შპს „რუსთავწყალისათვის", შპს „მცხეთაწყალკანალის", შპს „საქწყალკანალის", შპს „თბილისის წყალის", 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულების დამატებითი განმარტებისა და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ 2009 წლის 22 დეკემბერის შეთანხმება №1-, შეიცავს კომერციულ საიდუმლოებას, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს შპს „ჯორჯიან გლობალ იუთილითი ლიმითედი"-ის კონკურენტუნარიანობას. ამასთან, შპს „ჯორჯიან გლობალ იუთილითი ლიმითედი", არ არის თანახმა ამ ხელშეკრულების, როგორც კომერციული საიდუმლოების, განსაიდუმლოებასა და გაცემაზე. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის თანახმად, კი საჯარო საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციულ და პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა.

6.2.2. სასამართლო ვერ გაიზიარებს მოსარჩელის პოზიციას მასზედ, რომ 2008 წლის 14 მაისს საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედი"-ს შორის დადებული, შპს „რუსთავწყალკანალის" 100% წილის, შპს „მცხეთაწყალკანალის" 100% წილის, შპს „საქწყალკანალის" 100% წილისა და შპს „თბილისის წყალის" 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულების დანართები, ასევე შპს „რუსთავწყალკანალის", შპს „მცხეთაწყალკანალი"-ს, შპს „საქწყალკანალი"-ს, შპს „თბილისის წყალი"-ს 100% წილის ნასყიდობის დამატებითი განმარტებისა და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ 2009 წლის 22 დეკემბერის შეთანხმება №1 შეიცავს გარემოსდაცვით ინფორმაციას.

სასამართლოს მიაჩნია, რომ 2008 წლის 14 მაისს საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედი"-ს შორის დადებული, შპს „რუსთავწყალკანალის" 100% წილის, შპს „მცხეთაწყალკანალის" 100% წილის, შპს „საქწყალკანალის"100% წილისა და შპს „თბილისის წყალის" 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულება და მისი შემადგენელი და განუყოფელი ნაწილი, ამ ხელშეკრულების დანართები, ასევე შპს „რუსთავწყალისთვის", შპს „მცხეთაწყალკანალი"-ს, შპს „საქწყალკანალი"-ს, შპს "თბილისის წყალის" 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულება დამატებითი განმარტებისა და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ 2009 წლის 22 დეკემბერის

შეთანხმება №1, წარმოადგენენ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, იურიდიულ პირთან დადებულ სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებას, ანუ ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, რომელიც დადებულია კერძო სამართლის იურიდიული პირების, კერძოდ, შპს ,,რუსთავწყალკანალის'', შპს ,,მცხეთაწყალკანალის'' შპს ,,საქწყალკანალის'' და შპს ,,თბილისის წყალის'' კომერციული წილების გასხვისების თაობაზე და ამ ადმინისტრაციული ხელშეკრულების საგანს არ წარმოადგენს და ამდენად იგი არ არის დაკავშირებული გარემოს მდგომარეობის საკითხებთან ან გარემოს დაცვის ვალდებულებებთან.

სასამართლოს თვლის, რომ მოცემული ადმინისტრაციული ხელშეკრულების საგანი ასევე არ არის ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ, რომელიც რასაკვირველია არ წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას და დაინტერესებულ მხარეს, ნებისმიერი საჯარო ინფორმაცია, თუნდაც ამ გარიგების მონაწილე ადმნისტრაციული ორგანოების შესახებ, შეუძლია გამოითხოვოს თვით ამ ადმინისტრაციული ორგანოებიდან.

6.2.3. სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს მოსარჩელის პოზიციას მასზედაც, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, არ იქნა დაცული საჯარო ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის კანონით დადგენილი წესი.

სასამართლო დადგენილი ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე თვლის, რომ 2008 წლის 14 მაისს საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს ,,მალტიპლექს ენერჯი ლიმითედი''-ს შორის დადებული, შპს ,,რუსთავწყალკანალის'' 100% წილის, შპს ,,მცხეთაწყალკანალის'' 100% წილის, შპს ,,საქწყალკანალის''100% წილისა და შპს ,,თბილისის წყალის'' 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულების 14.1 მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, ხელშეკრულების მონაწილე ადმინისტრაციულმა ორგანომ, ამ ხელშეკრულების ხელმოწერით, ფაქტიურად მიიღო გადაწყვეტილება წინამდებარე ადმინისტრაციულ ხელშეკრულებაში არსებული ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის შესახებ და იკისრა ვალდებულება, რომ არ გასცემს ინფორმაციას ამ ხელშეკრულებისათვის დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის შესახებ, სხვა მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

6.3. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 33^1 მუხლის შესაბამისად, სარჩელი ქმედების განხორციელების დავალების თაობაზე დასაბუთებულია, თუ ადმინისტრაციული ორგანოს უარი ინფორმაციის გაცემაზე უკანონი და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებებსა და ინტერესს. ამდენად სასამართლოს მიაჩნია, რომ სამართლებრივად დაუსაბუთებელია მოთხოვნა საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს ,,მალტიპლექს ენერჯი ლიმითედი''-ს შორის 2008 წლის 14 მაისს გაფორმებული წილის ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების

დანართების, ასევე 2009 წლის 22 დეკემბერს საქართველოს მთავრობის №1025 განკარგულების საფუძველზე შპს „რუსთავწყალისათვის", შპს „მცხეთაწყალკანალის", შპს „საქწყალკანალის", შპს „თბილისის წყალის" 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულების დამატებითი განმარტებისა და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ შეთანხმება №1-ის განსაიდუმლოებისა და საქართველოს ეკონომიური განვითარების სამინისტროზე მისი, როგორც საჯარო ინფორმაციის, გაცემის დავალების შესახებ.

სარეზოლუციო ნაწილი

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-2 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კდოექსის 242-ე, 247-ე,249-ე, 257-ე, 369-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
2. ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა"-ს მოთხოვნას, საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედი"-ს შორის 2008 წლის 14 მაისს გაფორმებული წილის ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების დანართების, ასევე 2009 წლის 22 დეკემბერს საქართველოს მთავრობის №1025 განკარგულების საფუძველზე შპს „რუსთავწყალკანალის", შპს „მცხეთაწყალკანალის", შპს „საქწყალკანალის", შპს „თბილისის წყალის" 100% წილის ნასყიდობის დამატებითი განმარტებისა და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ შეთანხმება №1-ის განსაიდუმლოებისა და საქართველოს ეკონომიური განვითარების სამინისტროზე მისი, როგორც საჯარო ინფორმაციის გაცემის დავალების შესახებ, უარი ეთქვას;
3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (მდებ: ქ. თბილისი, გრ. რობაქიძის გამზ. №7ა) დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარისთვის ჩაბარების დღიდან 14 დღის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის (მდებ.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6) მეშვეობით.

მოსამართლე **ნინო შარაძე**